პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N

2024 წლის --- ნოემბერი, ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმში, ალ. პუშკინის ქუჩა N37, N37ა, 37/39, 35დ-ში და საზოგადოებრივი სივრცის ნაწილზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.28.18.067, N05.28.18.068, N05.28.18.043, N05.28.18.040, N05.28.18.031, N05.28.18.017) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1.ქალაქ ბათუმში, ალ. პუშკინის ქუჩა N37, N37ა, 37/39, 35დ-ში და საზოგადოებრივი სივრცის ნაწილზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.28.18.067, N05.28.18.068, N05.28.18.043, N05.28.18.040, N05.28.18.031, N05.28.18.017) დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, თანახმად დანართისა.

2.კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე - ქ. ბათუმში, ალ. პუშკინის ქუჩა N37, N37ა (ს/კ: N05.28.18.067, N05.28.18.068) დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) $к^{1/2}$ მაჩვენებლის 10 %-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

3.განემარტოს შპს „ჰოლანდიური სახლი ბათუმს“ (ს/N404913082), რომ ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის ეტაპზე გაითვალისწინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2024 წლის 22 ნოემბრის N01-01-10/9956 წერილით დადგენილი პირობები.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ **ირაკლი თავდგირიძე**

განმარტებითი ბარათი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმში, ალ. პუშკინის ქუჩა N37, N37ა, 37/39, 35დ-ში და საზოგადოებრივი სივრცის ნაწილზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N 05.28.18.067, N05.28.18.068, N05.28.18.043, N05.28.18.040, N05.28.18.031, N05.28.18.017) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

განკარგულების მიღების მიზანია ქ. ბათუმში, ალ. პუშკინის ქუჩა N37, N37ა, 37/39, 35დ-ში და საზოგადოებრივი სივრცის ნაწილზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.28.18.067, N05.28.18.068, N05.28.18.043, N05.28.18.040, N05.28.18.031,N 05.28.18.017) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2024 წლის 07 ოქტომბერს 10/1424281449-14 განცხადებით მომართა შპს ,,ჰოლანდიური სახლი ბათუმმა'' (ს/N404913082) და მოითხოვა ქალაქ ბათუმში, ალ. პუშკინის ქუჩა N37, N37ა, 37/39, 35დ-ში და საზოგადოებრივი სივრცის ნაწილზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.28.18.067, 05.28.18.068, 05.28.18.043, 05.28.18.040, 05.28.18.031, 05.28.18.017) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

გეგმარებითი ერთეულის ფართობი შეადგენს 7160 კვ.მ-ს და მოიცავს 6 მიწის ნაკვეთს საერთო ფართობით 6417,00 კვ.მ., საპროექტო მიწის ნაკვეთების (ს/კ: 05.28.18.067, 05.28.18.068) საერთო ფართობი შეადგენს 3591,00 კვ.მ-ს. პროექტით დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება, რომელშიც ბინების გარდა, განთავსდება საზოგადოებრივი დანიშნულების ფართები, ასევე მიწისქვეშა ავტოსადგომები. დაგეგმილია შიდა გზების და გამწვანების მოწყობა. საპროექტო ობიექტის: სართული - 32 (მიწისზედა), სიმაღლეები/სართულიანობა: სიმაღლე (მ) – 106 მ. მიწისქვეშა სართულები - 1 სართული.

კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროქტის მიხედვით გადამეტებული) კ1/2 მაჩვენებლის 10%-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმში, ალ. პუშკინის ქუჩა N37, N37ა, 37/39, 35დ-ში და საზოგადოებრივი სივრცის ნაწილზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.28.18.067, 05.28.18.068, 05.28.18.043, 05.28.18.040, 05.28.18.031, 05.28.18.017) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების მიზნით განკარგულების მიღება.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) განკრგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარ-ჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსი **გიორგი წანაწყენიშვილი**